IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს შორის

ქ. თბილისი 30 სექტემბერი, 2020 წელი

ერთი მხრივ, ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (შემდგომში – ინსტიტუტი), მისი აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი კლდიაშვილის სახით, და, მეორე მხრივ, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი" (შემდგომში – უნივერსიტეტი), მისი რექტორის, გიგა ზედანიას სახით, ინსტიტუტი და უნივერსიტეტი ინდივიდუალურად, ასევე მოხსენიებული, როგორც მხარე, ხოლო ერთობლივად, როგორც მხარეები, გამოხატავენ რა მზადყოფნას, განაგრძონ 2019 წლის 15 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმებული „თანამშრომლობის შესახებ" მემორანდუმის საფუძველზე დაწყებული თანამშრომლობა კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით და ხელი შეუწყონ კორუფციის პრევენციასთან, კორუფციული რისკების იდენტიფიცირებასა და კორუფციულ ფაქტებზე ეფექტიან რეაგირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სტუდენტების, სახელმწიფო, არასამთავრობო და ბიზნესსექტორების წარმომადგენელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას/გაღრმავებას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I. თანამშრომლობის ფარგლები

1.1 მემორანდუმი მიზნად ისახავს კორუფციასთან ბრძოლის შესახებ აკადემიური კურსების შემუშავებას და მის შეთავაზებას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის – სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) – საბაკალავრო პროგრამაზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით და საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში (შემდგომში – აკადემიური კურსები). აკადემიური კურსების მიზანია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები აღჭურვოს კორუფციის რისკების მართვის მენეჯმენტის ცოდნით;

1.2 მემორანდუმი მიზნად ისახავს მოიწვიოს თითოეულ აკადემიურ კურსში სპეციალური კონკურსის შედეგად შერჩეული გარე კანდიდატები – სხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა, საჯარო მოხელეთა, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენელთა სახით – რომელთა რაოდენობა განსაზღვრულია მემორანდუმის მუხლებით;

1.3 მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეთა შორის პარტნიორული ურთიერთობის განმტკიცებას კორუფციასთან ბრძოლის აკადემიური კურსების შექმნისა და განვითარების მიზნით. აკადემიურ კურსებში მონაწილეობისა და დასწრების შესაძლებლობა ექნებათკონკურსის შედეგად შერჩეულ ზემოხსენებულ გარე კანდიდატებსაც.

მუხლი II. ზოგადი დებულებები

2.1 მემორანდუმი ხელს შეუწყობს მხარეთა ურთიერთობის კოორდინაციას პროგრამით განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვის, მათი განხორციელებისა და შეფასების ეტაპებზე;

2.2 მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას იმოქმედონ მემორანდუმის პირობებისა და მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული სხვა ხელშეკრულებების შესაბამისად;

2.3 მხარეები აცხადებენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ ერთმანეთს პროგრამით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების პროცესში, მათ შორის პერიოდული და თემატური კომუნიკაციის გზით.

მუხლი III. კორუფციასთან ბრძოლის აკადემიური კურსების განხორციელების თავისებურებები

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3.1 აკადემიური კურსები შეიქმნება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის – სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) – საბაკალავრო პროგრამაზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით და საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე;

3.2 სოციალური მეცნიერებები – პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) – საბაკალავრო პროგრამაზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით შეთავაზებული იქნება შემდეგი კურსები: „კარგი მმართველობა და კორუფცია", „პოლიტიკა და კორუფცია";

3.3 საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე შეთავაზებული იქნება შემდეგი კურსები: „ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში", „კორუფციასთან ბრძოლა – საერთაშორისო აქტორები, ანტიკორუფციული პლატფორმები";

3.4 აკადემიური კურსები სრულ შესაბამისობაშია შესაბამის საფეხურებზე კურსების დამტკიცების შიდასაუნივერსიტეტო ხარისხის სტანდარტებთან;

3.5 პროგრამის თითოეულ აკადემიურ კურსში მონაწილეობას მიიღებს 50-მდე ადამიანი. თითოეულ აკადემიურ კურსში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 26 სტუდენტს. თითოეულ აკადემიურ კურსში სპეციალური კონკურსის შედეგად შერჩეული გარე კანდიდატების – სხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა, საჯარომოხელეთა, ბიზნეს დაარასამთავრობო სექტორების წარმომადგენელთა – რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 24 მონაწილეს;

3.6 საბაკალავრო კურსებზე შესაძლებელი იქნება სპეციალური კონკურსის შედეგად შერჩეული სხვა უნივერსიტეტების საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების მოწვევა;

3.7 სამაგისტრო კურსებზე შესაძლებელი იქნება სპეციალური კონკურსის შედეგად შერჩეული სხვა უნივერსიტეტების მაგისტრანტების ან მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების, საჯარო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლების მოწვევა;

3.8 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც აირჩევენ მემორანდუმით გათვალისწინებულ ორივე კურსს (საბაკალავრო ან სამაგისტრო კურსებს) სემესტრული ბადით გათვალიწინებული წესით, აღნიშნული კურსების წარმატებით (81-დან 100 ქულათა დიაპაზონი) გავლის შემთხვევაში კრედიტების (ECTS) მინიჭების გარდა, ასევე მიიღებენ მხარეთა მიერ გაცემულ ერთობლივ სერტიფიკატს;

3.9 კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამის მონაწილეები, გარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებისა, პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში მიიღებენ მხარეთა მიერ გაცემულ ერთობლივ სერტიფიკატს;

3.10 პროგრამის მონაწილეებს მხარეები შეარჩევენ ერთობლივად, ერთობლივი განცხადების გამოქვეყნებისა და ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი შერჩევითი პროცესის განხორციელების გზით. მონაწილეების შერჩევაში მონაწილეობას მიიღებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შესაბამისი საფეხურის აკადემიური პერსონალი;

3.11 აღნიშნული აკადემიური კურსები ხორციელდება ორი სემესტრის განმავლობაში;

3.12 აკადემიური კურსები წარიმართება დისტანციურ რეჟიმში ან შერეული სწავლის რეჟიმით ჯანდაცვის ორგანოების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად და, პანდემიიდან გამომდინარე, ნორმატიური აქტებით დადგენილი სავალდებულოდ გასათვალისწინებელი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი IV. მხარეთა შორის ურთიერთობები

4.1 მემორანდუმის განხორციელების პროცესში, ინსტიტუტი:

- უნივერსიტეტთან ერთად შეიმუშავებს აკადემიურ კურსებს უნივერსიტეტში არსებული შესაბამისი მოთხოვნებისა და სტანდარტების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფს კურსის ეფექტიან ადმინისტრირებას კოორდინატორის გამოყოფის გზით, რომელიც აწარმოებს კომუნიკაციას უნივერსიტეტის საკონტაქტო პირთან, პროგრამის ლექტორებთან, პროგრამაში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებსა და პროგრამის მონაწილეებთან;
- უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში;
- უზრუნველყოფს სასწავლო მასალის მომზადებასა და ბეჭდვას;
- უზრუნველყოფს კურსის მონაწილეთა შერჩევის პროცესის ადმინისტრირებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით;
- შესაბამის ფაკულტეტსა და პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთობლივი კოორდინაციით უზრუნველყოფს კურსის ლექტორების შერჩევას და შემდგომ მათი შრომის ანაზღაურებას;
- უზრუნველყოფს ერთობლივი სერტიფიკატის დამზადებას;
- უზრუნველყოფს მონაწილეთა სერტიფიკატებით დაჯილდოების ცერემონიის ორგანიზაციულ დეტალებს;
- უნივერსიტეტთან ერთად დაჯილდოების შემდეგ განიხილავს პროგრამის განხორციელების შედეგებს, გამოავლენს პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასევე განიხილავს გაგრძელების პერსპექტივას.

4.2 მემორანდუმის განხორციელების პროცესში უნივერსიტეტი:

- ინსტიტუტთან ეფექტიანი ურთიერთობისთვის გამოყოფს საკონტაქტო პირს, რომელთანაც კომუნიკაციას აწარმოებს პროექტის მენეჯერი ძირითადად ლოგისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში;
- უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის აკადემიური პერსონალისა და საკონტაქტო პირის ჩართულობას კურსის მონაწილეთა შერჩევის პროცესში;
- უზიარებს ინსტიტუტს იმ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში სასერტიფიკატო კურსების შესაქმნელად და შემდგომში დასამტკიცებლად;
- შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა ნებადართული იქნება ფიზიკური დასწრებით აუდიტორიებში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, და ჯანდაცვის სახელმწიფო ორგანოების რეკომენდაციების შესაბამისად, გამოყოფს ინვენტარით აღჭურვილ კეთილმოწყობილ სალექციო ოთახს, რომელშიც დაეტევა 50 მონაწილე;
- პროგრამის გარე მონაწილეებისთვის უზრუნველყოფს წვდომას საგანმანათლებლო სივრცეზე (შენობაზე);
- მონაწილეთა სერტიფიკატებით დაჯილდოების ცერემონიისთვის გამოყოფს შესაბამის საუნივერსიტეტო სივრცეს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მონაწილეობას;
- ინსტიტუტთან ერთად დაჯილდოების შემდეგ განიხილავს პროგრამის განხორციელების შედეგებს, გამოავლენს პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასევე განიხილავს გაგრძელების პერსპექტივას.

მუხლი V. მემორანდუმის ძალაში შესვლა და მოქმედების დასრულება

5.1 მემორანდუმი ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და დაასრულებს მოქმედებას 2021წლის 30 სექტემბერს.

5.2 ნებისმიერი ცვლილება მემორანდუმის ტექსტში შეთანხმებული უნდა იყოს მხარეთა შორის და განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა მიერ ხელმოწერის შედეგად.

მუხლი VI. ზოგადიდებულებები

6.1 მხარეთა შორის წარმოშობილი გაურკვევლობების შემთხვევაში, რაც გულისხმობს ასევე მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობას, მხარეები მაქსიმალურად უნდა ეცადონ მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ არსებული გაურკვევლობები. მოლაპარაკების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან სრულად შეასრულონ პროგრამის მონაწილეთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

6.2 მემორანდუმი ხელმოწერილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომლებიც ინახება მხარეებთან;

6.3 მემორანდუმის საფუძველზე წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ დავა ვერ გადაწყდება საკითხის დასმიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს;

6.4 კორესპონდენცია მემორანდუმის განხორციელებასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს წერილობით შემდეგ მისამართებზე:

აიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"
მისამართი: ტ. შევჩენკოს ქ. N20, თბილისი, 0108, საქართველო

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი"
მისამართი: ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5, თბილისი 0162, საქართველო

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	აიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
რექტორი	აღმასრულებელი დირექტორი
გიგა ზედანია	გიორგი კლდიაშვილი